პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | პარასკევი, 7 აგვისტო 1925 წ. | წელიწადი მეხუთე | ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

176 (874) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24 განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომ3. სტრ

## თბილისის პროლეტარიატის ხმა.

გუშინ მთელი თბილისის როლეტარიატი აღფრთოვანე-თ მიესალმა გერმანიის მუ-ათა კლასის წარმომადგენ-ებს.

როგორც ერთი კაცი ის ამოვიდა ქუჩაზე და მხურვა-ედ მიეგება ძვირფას სტუმ-ბს. თბილისის მშრომელთა უშინდელი დემონსტრაცია სა-კეთესო პასუხია ყველა იმ არებზე და პროვოკაციაზე, ომელსაც უხვად ავრცელებს ელი იმპერიალისტური მსო-ლიო და სოციალგამყიდველ-ა ბანაკი.

„მუშათა კლასი საბჭოთა აქართველოში დამონავებუ-ია, მას წართმეული აქვს ველა უფლებები და სხვა“-ი ას ამტკიცებენ ჩვენი მტრე-ი.

გერმანელ მუშების წარმო-ადგენლებმა თვით დაინახეს ს „დამონავებული“ მუშები. აკუთარი თვალით მათ იხი-ეს საქართველოს მშრომელ-ა მოწინავე ნაწილი და გაი-ეს მისი ნამდვილი სულისკვე-ება და აზრი.

განა გვანდა გუშინდელი ხეიმო დემონსტრაცია დამო-ავებულთა დემონსტრაციას. არა. ასეთი დემონსტრაციე-ს გამართვა მხოლოდ თავი-უფალ და გამარჯვებულებს ეუძლიათ.

გაიგონეს განა სადმე გერ-ნელ დელეგატებმა უკმაყო-ილების ხმა ან პროტესტი.

არა მათ გარშემო იყო სი-ხარულით აღსავსე მუშების, ეების ზღვა. იმ მუშების მლებმაც დაამხვეს ბურჟუა-ზიის და მის მოციქულების ბატონობა და დაამყარეს თავისი ძალაუფლება.

მათი მკერდიდან ზანზარებდა მხოლოდ ერთი ხმა: „ **ძირს ბურჟუაზიის და სოციალ გამყიდველთა სიყალბე და ცილისწამებები, გაუმარჯოს პროლეტარულ სიმართლეს მუშურ-გლეხურ რესპუბლიკების შესახებ.**“

თბილისის პროლეტარიატმა გუშინ სთქვა თავისი სიტყვა. თავისი აღფრთოვანებული დემონსტრაციით მან გასცა საუკეთესო თვალსაჩინო პასუხი გერმანელ მეგობრებს ყველა იმ კითხვებზედ, რომლებიც მათ აინტერესებდათ.

ეს პასუხია „საბჭოთა საქართველო—ეს ჩვენი მუშურ-გლეხური საქართველოა. ყველაფერი ის, რასაც ყვითელი მოღალატეები და კაპიტალისტები ავრცელებენ ჩვენ შესახებ საძაგელი ტყუილი და ცილისწამებაა. გადაეცით გერმანელ მუშებს, რომ ჩვენ ვქმნით ახალ თავისუფალ ბედნიერ ცხოვრებას და ამისკენ მოგიწოდებთ თქვენც.“

აი თბილისის პროლეტარიატის პასუხი.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ გერმანიის პროლეტარიატის წარმომადგენლები ამ პასუხს უცვლელად გადასცემენ მას.

ამით ისინი დააჩქარებენ საერთაშორისო მუშათა მთლიანი ფრონტის შექმნის საქმეს და პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვებას მთელ მსოფლიოში.

## ანმათავისუფლებელი მოძრაობა ახალშენებში ფართოვდება.

რაც დღე მიდის, მით უფრო და უფრო ირყევა იმპერი-იზმის ბატონობის საძირკვე-ი ახალშენებში. დამონავებუ-ი აღმოსავლეთი და სამხრე-თანდათან ებმება შეური-ბელ ბრძოლაში, თავის საუ-უნოებრივ ბატონის, ევროპის მპერიალიზმის წინააღმდეგ.

მისი მოთმინების ფიალა ივსო. მეტის ატანა მას აღარ ეუძლია, თავისუფლების წყუ-ილმა შეიპყრო მთელი მისი სება. განა ამის საუკეთესო ტკიცება არ არის ჩინეთი? მაროკო? ჩინელები აღს-გენ, მათი აღშფოთების ხმა ცხოველ მოძალადეების წინა-მდეგ მთელ მსოფლიოს მო-ო.

თუმცა შინაური ბურჟუაზიის და მილიტარისტების წყალობით ჩინეთის მოძრაობა მშვიდობიან დემონსტრაციების საზღვარს არ გასცილებია და ის ამ ბოლო ხანებში შენელდა, მაგრამ პირველ ტალღას მეორე უფრო ძლიერი და გამანადგურებელი მოყვება.

ჩინეთის ხალხის მოთმინებამ საზღვარს მიაღწია. ამის პირველი ნიშანი იყო ფართო საგაფიცვო და მშვიდობიანი ანტი იმპერიალისტური მოძრაობა, რომელიც ჩინეთის მშრომელთ მასების სასარგებლოდ დამთავრდა. ცხადია ჩინეთი ამაზე არ შეჩერდება. ბრძოლის მშვიდობიან ფორმიდან ის შეიარაღებულზე გადავა და მეტის ენერგიით შეებრძოლება უცხოელ მტაცებელს.

ეხლა მაროკო.

რიფები თავგანწირვით იბრძვიან. ისინი მედგრად იცავენ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას და სრულიად არ ფიქრობენ დათმობაზე წასვლას.

მაგრამ განა მარტო მაროკო და ჩინეთი იბრძვის. ყოველ დღე რადიოს მოაქვს ცნობები აჯანყებების შესახებ, რომლებსაც აქვს ადგილი კოლონიებში (ახალშენებში). აი თუნდაც დღეს. რადიო გადმოგვცემს, რომ სირიაში (მცირე აზია) იფეთქა აჯანყებამ საფრანგეთის იმპერიალისტების წინააღმდეგ.

იგივე რადიო გადმოგვცემს, რომ აჯანყების ჩაქრობაში აგრეთვე მონაწილეობას იღებენ ინგლისელები. რატომ?

იმიტომ რომ ინგლისელებს ეშინიათ მათ ახალშენებშიაც არ გადავიდეს აჯანყების ცეცხლი.

ამრიგად იმპერიალიზმი აერთიანებს ძალებს თავისუფლებისათვის მებრძოლ დამონავებულ კოლონიების წინააღმდეგ. ცეცხლითა და მახვილით ის აპირებს. ურჩების კვლავ დამონავებას. ტყუილი ცდებია.

დაჩაგრულთა მსოფლიო აღსდგა. ჩინეთის, მაროკოს, სირიის მაგალითს მიბაძავს ინდოეთიც და სხვა დაჩაგრული ერები, რომლებიც იმავე ევროპის პროლეტარიატის ხელმძღვანელობის ქვეშ ბოლოს მოუღებენ მსოფლიო იმპერიალიზმის ბატონობას.

—ვ.

# ახალი რადიო-ამბები

## აჯანყება სირიაში.

სირიაში აჯანყდა დრუზების ტომები საფრანგეთის სამხედრო ოკუპაციის წინააღმდეგ.

აჯანყების ჩახშობაში მონაწილეობას ღებულობენ აგრეთვე ბრიტანეთის ჯარებიც, ვინაიდან ინგლისს ეშინია აჯანყების გავრცელების ტრანსიორდანიაზე.

აჯანყებულებს მეთაურობს ემირი არახი.

## შვეციის მუშები საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ.

**„საბჭოთა კავშირში ჩვენ მივიღეთ შთაბეჭდილება, თითქოს სხვა სამყაროში ვყოფილიყოთ“.**

შვეციის დელეგატები, რომლებიც ამ დღეებში დაბრუნდენ საბჭოთა კავშირიდან, დიდი აღრთოვანებით იხსენიებენ საბჭოთა კავშირს.

სოციალ-დემოკრატიული პრესა სცდილობს შეანელოს შთაბეჭდილება, რომელიც მიიღო მუშებმა მოგზაურობიდან.

კომპარტიის ორგანო „პოლიტიკენი“ ასე უკეთებს ჯამს დელეგაციის მონაწილეთა შთაბეჭდილებას: „საბჭოთა კავშირში ჩვენ მივიღეთ შთაბეჭდილება, თითქოს სულ სხვა სამყაროში გავჩნდით“.

მეტად საინტერესოა დელეგატ სოც. დემ. სტენის ინტერვიუ ერთ პროვინციალურ ს. დემოკრ. გაზეთში.

ის აცხადებს შვეციის დელეგაციის მგზავრობამ სავსებით დაადასტურა ბოლშევიკების გზის სისწორე.

სტენი აღნიშნავს, თუ რა გულითადად შეხვდენ სოციალ-დემოკრატ დელეგატებს და გამოსთქვამს სურვილს, რათა საბჭოთა კავშირში გაგზავნილ იქნას განსაკუთრებული დელეგაცია შვეციის პროფორგანიზაციების მიერ.

## შვეციის კომპარტიისა და კომკავშირის მოწოდება.

მსოფლიო ომის მე-11 წლის თავის გამო შვეციის კომპარტიამ და კომკავშირმა გამოუშვა მოწოდება მუშათა კლასისადმი შეადგინონ ერთიანი ფრონტი ახალი ომის საფრთხის, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბლოკადის ცდებისა და იმპერიალიზმის ძალმომრეობის წინააღმდეგ ჩინეთსა და მაროკოში.

მოწოდებაში აღნიშნულია იმპერიალისტების მზადება ახალი ომისათვის ერთალიგის ნილაბ ქვეშ, სოციალ დემოკრატების ღალატი და ინგლისის ცდები გამოიყენოს ბალტიის სახელმწიფოები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

## გაფიცვები ზემო სილეზიაში.

ზემო სილეზიაში გაიფიცა 10.000 მუშა პროტესტის ნიშნად 10 საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ.

პოლონეთის მთავრობა აცხადებს, რომ „პრინციპიალურად“ ის თანახმაა 8 საათის სამუშაო დღის, მაგრამ პრაქტიკულად ეს უნდა განხორციელდეს თანდათანობით, ხოლო ჯერ კი დაცულ უნდა იქნას 10 საათის სამუშაო დღეო.

## პოლონეთი ეძებს უკიდურეს რეპრესიულ ზომებს.

**„ჩამოხრჩობა ძვირად ჯდება და ულამაზოცაა, ისევ ხვრეტა უნდა განვაგრძოთ“.**

პოლონეთის გაზეთები განაგრძობენ კამპანიას განსაკუთრებული ზომების მიღების შესახებ კომუნისტების წინააღმდეგ. სხვათაშორის „კურიერ პოლსკი“ არჩევს სხვა და სხვა წინადადებას კომუნისტებთან ბრძოლისთვის და ამბობს, რომ ჩამოხრჩობა არ უნდა იქნას მიღებული, ვინაიდან ეს არ არის ესთეტიური (ლამაზი) და მასთან ძვირიც ჯდება:

ეს მოითხოვს სპეციალის ჯალათების კადრის შენახვას“-ო

## გლეხთა მოძრაობის ჩახშობა.

პოლონეთში დააპატიმრეს 100 მეტი კაცი პარტიზანულ მოძრაობაში მონაწილეობისთვის.

დაპატიმრებულთაგან ბევრი გადაეცა საველე სასამართლოს.

## 12 კომუნისტის საქმე.

2 და 3 აგვისტოს საბერძნეთში, სამხედრო სასამართლოში ირჩეოდა 12 კომუნისტის საქმე.

2 ბრალდებულს მიუსაჯეს 3 ნახევარი წლის ციხე, დანარჩენს წლინახევრის.

## იაპონია-საბჭოთა სარკინიგზო კონფერენციისთვის.

დაამთავრა მუშაობა კომისიამ, რომელიც ამზადებდა მასალებს მომავალ იაპონია-საბჭოთა სარკინიგზო კონფერენციისთვის. კომისიამ გამოიმუშავა საკითხები პირდაპირი მიმოსვლის შესახებ იაპონიასა და სსრკ-ს შორის.

პირდაპირი მიმოსვლის დაწესება დიდ სარგებლობას მოუტანს ორივე მხარეს, რადგანაც შემოკლდება იაპონიიდან ევროპაში მიმოსვლის დრო 40 დღიდან 15 დღემდი.

## საბჭოთა ფლაგი კულჯში.

ჩინეთის მთელი ადმინისტრაციის, სამხედრო ძალთა, ვაჭრებისა და მოსახლეობის თანდასწრებით კულჯში (ჩინეთი) დიდის ზეიმით იქნა აღმართული საბჭოთა საკონსულოზე წითელი ფლაგი.

# საბჭოთა კავშირში

## ამხ. რიკოვი შვებულებაში.

საბჭოთა კავშირისა და რსფსრ-ს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე რიკოვი წავიდა შვებულებაში.

რიკოვის მაგივრად სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას აასრულებს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთავმჯდომარე კამენევი.

## წითელ მეთაურთა ახალი გამოშვება.

**ამხ. ფრუნზეს სიტყვა.**

მოხდა სამხედრო აკადემიისა და აღმოსავლეთის ფაკულტეტის კურს დამთავრებულთა საზეიმო გამოშვება.

სამხედრო საზღვაო კომისარმა ფრუნზემ მიმართა კურს დამთავრებულებს სიტყვით, რომელშიაც აღნიშნა, რომ ეს გამოშვება საშუალებას მოგვცემს გავაძლიეროთ მუშაობა და განვამტკიცოთ არმიის აღმშენებლობის საორგანიზაციო ფორმები, ავამაღლოთ მისი კულტურული დონე და სამხედრო ძლიერება.

„წითელი არმია—განაცხადა ფრუნზემ—ძლიერი ფაქტორია ქვეყნის კულტურულად გაძლიერებისა საერთოდ. ტერიტორიალურ—მილიციონური სისტემა მუშათა და გლეხთა კავშირის გამტკიცების ფაქტორია.

ჩვენი მტრების მზადებას ჩვენ უნდა უპასუხოდ ჩვენი ღონისძიებების გაათკეცებით“.

## სანიტარული ჰაეროპლანი.

რსფსრ-ს წითელი ჯვრის საზოგადოების ცეკა ახლო მომავალში დაასრულებს სანიტარული ჰაეროპლანის აგებას. სანიტარული ჰაეროპლანების ასაგებად შემდეგისთვის ჩატარებულ იქნება მასიური საზოგადოებრივი კამპანია, რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას საკავშირო წითელი ჯვრის საზოგადოებები და მათი მონათესავე ორგანიზაციები.

## ტრესტების სახლი.

ხარკოვში შენდება უზარმაზარი ტრესტების სახლი, რომელიც ერთი უდიდესი შენობათაგანი იქნება მთელს კავშირში.

სიდიდე იქნება 27.000 კუბიკურ საჟენზე მეტი; სიმაღლე—10 სართული.

## ყველა ქვეყნის მშენებელ მუშებს.

პროპაგანდის საერთაშორისო კომიტეტმა მიმართა ყველა ქვეყნის მშენებელ მუშათა კავშირებს მოწოდებით გაუწიონ გერმანიის მშენებელ მუშებს მორალური და მატერიალური დახმარება მათ ბრძოლაში მეპატრონეთა წინააღმდეგ.

გერმანიის მშენებელ მუშებს მოელით ქუჩებში გამოყრის საფრთხე მწარმოებელთა მხრივ.

## ჩვენი საწამლო ნედლი მასალა საზღვარ-გარედ.

საზღვარ-გარეთის ბაზრები დიდად დაინტერესებული არიან საბჭოთა საწამლო ნედლი მასალით.

საწამლო ნედლი მასალის საექსპორტო ცენტრალური ბიურო გამოდის მომავალ ბაზრობაზე და გამოფენებზე რიგაში, კენიგსბერგში, ლეიპციგში, ლვოვში და ვენაში და აერთიანებს ყველა საწამლო ნედლი მასალის მოვაჭრე ორგანიზაციებს.

## გერმანიის დელეგაცია იალტაში.

იალტაში გერმანიის დელეგაციას აღფრთოვანებით შეხვდენ.

მისასალმებელი სიტყვები სთქვეს დასასვენებლად მყოფ მუშებმა და დელეგაციის წევრებმა.

დელეგაციაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საქმის მდგომარეობამ ყირიმის კურორტებზე.

## მატარებლების დამსხვრევის შესახებ ჯუმათში.

ღამით 4 აგვისტოს ბათუმიდან გამოსული მატარებელი 88 ცისტერნის შემადგენლობით შემოვიდა სადგურ ჯუმათში, მაგრამ ვერ მოასწრო სრულად სადგურის გზაში შემოსვლა, რომ მას შეეტაკა მარშრუტის მატარებელი. შეტაკება იმდენად ძლიერი იყო, რომ 21 ცისტერნი გადავარდა გზიდან და ზოგი მათგანი 10 საჟენის მოშორებითაც.

სადგურის გზები საშინლად დანგრეულია.

მოკვდა სამი მგზავრი. მძიმედ დაიჭრა მემანქანე და „კოჩეგარი“, რომლებიც ფეხების მოჭრის შემდეგ გარდაიცვალენ. მსუბუქად დაიჭრა რამოდენიმე კაცი.

# გერმანიის მუშათა დელეგაცია ტფილისში.

**გამსახლში.**

5 აგვისტოს დილის ათ საათზე გერმანიის მუშათა დელეგაციის ერთმა ჯგუფმა დაათვალიერა გამასწორებელი სახლი № 2. დელეგატებმა დაათვალიერეს გამსახლის თეატრი საავადმყოფო, კულტკუთხე, გამასწორებელი საკნები და დიდხანს ესაუბრეს პატიმრებს.

პარიტეტული კომიტეტის წევრებისა და პარიტეტული კონტრრევოლიუციის საქმის მონაწილეთა განცხადებიდან დელეგატებმა გაიგეს, რომ საბჭოთა სასამართლო მეტად ლმობიერად მოეპყრო მათ.



ბოზე.

მსჯავრდადებულმა ანდრონიკაშვილმა განაცხადა, რომ იგი და მისი ამხანაგები ადასტურებენ მათ მიერ გამოცემულ დეკლარაციებს და იმედს გამოსთქვამენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება მისცემს მათ ხელისუფლებასთან მუშაობის და თანამშრომლობის საშუალებას.

დელეგატებმა განაცხადეს, მოგზაურობის დროს ჩვენ დავრწმუნდით, რომ საბჭოთა კავშირი წარმოადგენს სოციალიზმის მტკიცე და ურყევ საძირკველს.

**პროფსაბჭოში.**

მეტეხის ციხიდან დელეგაცია გაემგზავრა პროფსაბჭოში. იქ საზეიმო სხდომა გახსნა პროფსაბჭოს მდივანმა ყურალაშვილმა, რომელმაც მისალმების შემდეგ თავის სიტყვაში გააცნო დელეგატებს პროფკავშირის მდგომარეობა და სხვა. დელეგატებმა ბოლოს მას მისცეს შეკითხვები, რაზედაც ყურალაშვილმა ამომწურავი პასუხი გასცა.

**ამხ. ბეკის პასუხი.**

დელეგაციის თავმჯდომარემ ჰანს ბეკმა დელეგაციის სახელით მადლობა გადაუხადა პროფსაბჭოს პრეზიდიუმს ასეთი ცნობებისათვის და აღნიშნა, რომ დელეგაცია სავსებით დაკმაყოფილებულია ამ ცნობებით.

—საქართველო და ტფილისი—ამბობს ამხ. ბეკი—ყველაზე უფრო მთავარი და მიმზიდველი ცენტრი იყო დელეგაციისთვის. პროფსაბჭოს ანგარიშის შემდეგ ჩვენთვის ნათელია, რომ საქართველოს მუშათა კლასი წინ მიდის, რომ იგი ჩქარი ნაბიჯით უახლოვდება სოციალიზმს.

**დელეგაცია ამხ. შ. ელიავასთან.**

5 აგვისტოსვე დღის ორ საათზე გერმანიის დელეგაცია მიიღო საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. შ. ელიავამ. დელეგაცია დაინტერესდა საქართველოს წარსული და ეხლანდელი ცხოვრებით, რის შესახებაც ამხ. ელიავამ ვრცელი ინფორმაციული მასალა მიაწოდა მას.



ოტტო რიხტერი.
კომუნისტი—მელითონე.

**„მუშათი კომისიის“ წარმომადგენლები დელეგაციასთან.**

საღამოს ყოფილ მენშევიკებისაგან შემდგარი „მუშათა კომისიის“ ოცდახუთამდე წარმომადგენელი ეწვია გერმანიის მუშათა დელეგაციას.

„მუშათა კომისიას“ ხელმძღვანელობდა ამხ. ძამანაშვილი.

აქ მილერმა ასწერა თავიანთი შეხვედრა ციხეში გასამართლებულ პარიტეტელებთან. ის სიამოვნებით აღნიშნავს დაპატიმრებულთა საუცხოვო მდგომარეობას, რომლის მსგავსსაც ევროპის ვერც ერთ ქვეყანაში ვერ შეხვდებით.

დელეგატები შეეკითხებიან გასამართლებულთ: ხომ არ ისურვებენ, რომ იმუამდგომლონ მთავრობასთან მათი პატიების შესახებ. მათ უარი უთქვამთ, რადგან სავსებით დავიმსახურეთ სასჯელიო.

„მუშათა კომისიის“ სახელით ილაპარაკეს ძამანაშვილმა, დემეტრაშვილმა. იმათ აღნიშნეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარსული ისტორია, ამ პარტიის დამარცხება და შეეხენ საბჭოთა პლატფორმაზე დადგომის აუცილებლობას.

დელეგაციის სახელით საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ბერმა, რომელმაც აღნიშნა ყველა პარტიებისა და ჯგუფების მიერ საბჭოთა ხელისუფლების აღიარება, რაც იმას ამტკიცებს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ყველასათვის მისაღებია.

გერმანელი დელეგატების სურვილით გადაღებულ იქნა საერთო ფოტოგრაფიული სურათი.

# გერმანელ მუშების დელეგაცია „მგეჭდავის“ კლუბში.

განსაკუთრებული ელფერი ეტყობა კლუბს, საუკეთესო ძალები ქართულ ხოროსი შემოკრებილია სცენაზე და გაფაციცებით ელიან ძვირფას სტუმრებს...

იყვნენ მოპატიჟებულნი წითელ ჯარის წარმომადგენლებიც...

ზალი გაივსო მსმენელი აუდიტორიით...

იხდება ფარდა და საამური—რევოლიუციონური ჰანგები ინტერნაციონალის, მჭექარე ქუხილით ეფინება გარემოებას...

მოვიდა გერმანელ მუშების დელეგაციაც...

მთელი აუდიტორია ფეხზე დადგა და უჩვეულო ოვაციები გაუმართა...

ისევ სიწყნარე!..

კონცერტის პროგრამა სამ განყოფილებიდან შესდგებოდა: პირველი რევოლიუციონური—მუშური სიმღერები, მეორე—ქართლ-კახური და მესამე—იმერულ-გურული ხალხური სიმღერები.

ხოროს ხელმძღვანელობს კ. ფოცხვერაშვილი. პირველ განყოფილებაში ჩატარებულ იქმნა: კომუნარების მარში და მჭედლები (მოსკოვის სიმღერათა კრებულიდან ამოღებული), ახალი მარსელიეზა (გადამუშავებული მელოდია); საპირველმაისო ჰიმნი; (მელოდია კასტარსკის), და ქართული საბრძოლველი მარში: „მთელი ქვეყანა ინგრევა სრულად.

მეორე განყოფილებაში—„მთიან მთაზედა თოვლიანზედა“—ია მთაზე—„ვისი? ვისია?“—„შევსვათ შევსვათ წითელი“.—დიამბეგო!—მურმან—გოგონა“. დაერთო ზედ აზიური ცეკვა, რამაც არა ჩვეულებრივი შთაბეჭდილება დასტოვა დელეგატებზე და დამსწრე საზოგადოებაზე.

ფერხულის დროს გამოყვანილ იქმნა ტიპები იმერელის, აჭარელის და სხვა.

მესამე განყოფილებაში—იმერული გურული სიმღერები დაერთო; როგორიც არის: „მაყრული“—„მიყვარს ფაცხა“. (გადაკეთებული მ. ბალანჩივაძის მიერ)—„საბოდიშო“.

„მასპინძელსა მხიარულსა, ყავდა სახლში საყვარლები“, (სუფრული). „ალი ფაშა“, და „შვიდკაცა“, რომელის ხმები, რაღაც გიჟურ—აზიურ ჰარმონიის მომასწავებელი იყო; აქ ნათლად სჩანს აღმოსავლეთური ტემპერამენტი.

გერმანელ დელეგატებზე, ამ სამაგალითო კონცერტმა საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა...

წასვლისას მთელი აუდიტორია „ვაშას“, „გაუმარჯოს გერმანელ მუშების დელეგატებს“—ძახილით აცილებდა ძვირფას სტუმრებს...

ისინიც ღიმილით, უპასუხებდენ დამსწრე საზოგადოების პატივისცემას...

სალამი! გერმანელ მუშების დელეგატებს რომლებმაც ალლო აუღეს ჩვენი ხელოვნურ თვითშემოქმედებას...

იმედი გვაქვს, თავის მხარეში დაბრუნებისას, სრულიად გაჰფანტავენ იმ ჭორებს, რომელსაც უსინდისოთავრცელებენ თეთრი ემიგრანტები და ყვითელი ინტერნაციონალის ბელადები!

გაუმარჯოს მათ და მთელი ქვეყნის პროლეტარულ მასას!

დ. ჭანტურიშვილი.

# სამხედრო საქმე

**ადგილმდებარეობის დაზვერვა.**

მეავტომატე უნდა იყოს უფროსის გვერდით, რომელიც მას უჩვენებს მიზანს და ცეცხლის მიმართულებას. მანძილი 600—1200 მეტრი სავრეზერვია, რომელიც უზრუნველყოფს კავშირს ოცეულის უფროსთან, რომლის მიერაც გაგზავნილია მზვერავები.

ამის გრაფიკული გამოხატულება ასეთი იქნება.

აი ამნაირად ეწყობიან მზვერავები.




სებით უზრუნველყოფს მზვერავთა ნაწილების კავშირს. გრანატის მტყორცნელი მიდის წინ, ვინაიდან მას აქვს შორს მსროლელი იარაღი. მასთან წინ იმყოფება ორი მარჯვე მსროლელი. ვაზნების მიმტანნი მეავტომატეს უკან, რათა დროზე მიაწოდოს ვაზნები. შემდეგ მიდის ორი მსროლელი, როგორც კავშირის დამჭერნი ოცეულთან. ეს, ასე ვსთქვათ, მზვერავთა რავები. რასაკვირველია შეიძლება სხვანაირად მოწყობაც, მაგრამ პრინციპი იგივე დარჩება. შემდეგ წერილში გვექნება ლაპარაკი იმაზე, თუ როგორ სწარმოებს თვით ზვერვა, ძიება. შემდეგ შევეცდებით გავაშუქოთ, თუ როგორ სწარმოებს ყოველივე ეს უცხოეთის არმიებში, ხოლო შემდეგ გადავჭრით პატარა ამოცანებს.

ზ.—ვ.

# მუშათა დემონსტრაცია დელეგაციის შესახვედრად

6 აგვისტოს საღამოს გაიმართა ტფილისის მუშა-მოსამსახურეთა დიდი დემონსტრაცია გერმანიის მუშათა დელეგაციის ჩამოსვლის გამო.

უკვე შვიდის ნახევარია რუსთაველის ქუჩაზე ბოლო არ უჩანს მუშათა რიგებს. ღელავს ზღვა დროშები და პლაკატები წარწერებით:

„ერთიანი ფრონტით საერთაშორისო პროლეტარიატის მჩაგვრელთა წინააღმდეგ“, „ძირს ჭორებისა და ცილის წამების კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“ და სხვა. მუშათა დელეგაციას ტაშით და ვაშას ძახილით მიაცილებს ხალხი მუშათა სასახლის წინ ტრიბუნისაკენ.

(დაწვრილებითი ანგარიში შემდეგ №-ში).

# ჩვენს ტერიტორიალურ ნაწილებში

## ჩვენი სტუმრები.

მე 6 ტერლეგიონი.

4 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, ჩვენ ლეგიონს ესტუმრენ ა. ლ. კ. კ. 3 რაიკომის ახკორები, პიკორები რიცხვით 40 კაცამდე. პირველად მათ დაათვალიერენ ბიბლიოთეკა-სამკითხველო, შემდეგ 1 და 2 ტყვია-მფრქვევ ასეულების ლენინის კუთხე, უმწყობრო, საკავშირო და ცხენოსან მზვერავთა გუნდების ლენინის კუთხე, 1 ათასეულის ლენინის კუთხე, და ბოლოს მე-2 ათასეულის ლენინის კუთხე.

შემდეგ ვანახვეთ ლენინის მინდვრები, რამაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება დასტოვა მათზე. ნახეს აგრეთვე ყველა ასეულების და ლეგიონის კედლის გაზეთები. შემდეგ ჩაერიენ წითელ-არმიელებში და გამართეს მათთან საუბარი.

წითელ-არმიელთა ყოფაცხოვრების გაცნობის შემდეგ დიდი კმაყოფილება გამოსთქვეს სტუმრებმა. აქვე სწერდენ წერილებს ჩვენი ცხოვრების შესახებ.

საღამოს 10 საათზე სტუმრები წავიდენ. მომავალში განზრახულია ჩვენმა სამხკორებმა დაათვალიერონ მე-3 რაიკომის კლუბი. შემდეგ მოწვეული იქნება კავშირის გამტკიცების მიზნით რაიკომის ახკორებისა და ჩვენი ლეგიონის სამხკორე'ის გაერთიანებული კრება. აგრეთვე შექმნილია სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს გეგმის შემუშავება სპეციალურ საღამოს მოსაწყობათ· ლენინის კლუბის გამგეობას განზრახული აქვს რაიკომის კლუბთან სამხედრო კუთხის მოწყობა. იმედია, ჩვენი ა.ლ.კ.კ მე-3 რაიკომთან კავშირი უფრო განმტკიცდება მომავალში და ჩვენ ერთად ხელიხელ ჩაკიდებულნი გავამართლებთ ლოზუნგს "მოსახლეობის გასამხედროებისას".

სამხკორი მ. ვ.

## სკოლის გარეშე მუშაობა დამაკმაყოფილებელია.

მეექვსე ტერ-ლეგიონი.

ამ რამოდენიმე დღის წინად მოწვეულ იქნა ჩვენი ტერ-ლეგიონის კლუბის გამგეობის მორიგი სხდომა, რომელსაც დაესწრენ ლეგიონის პოლიტ-შემადგენლობის ყველა წევრები და ათასეულების მაშტაბით არსებული სხვა და სხვა ბირთვების ხელმძღვანელები. დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი-უმთავრესი საკითხები: 1. მოხსენება ლეგ-სკოლის „პოლიტ-ხელის ივლისის თვის განმავლობაში ლეგიონის სკოლაში სკოლის გარეშე ჩატარებული მუშაობის შესახებ, 2. მოხსენება 1-ლი ათასეულის პოლიტ ხელის ათასეულში სკოლის გარეშე მუშაობის შესახებ, 3. აგვისტოს თვის სკოლის გარეშე მუშაობის გეგმის განხილვა და 4. მიმდინარე საკითხები.

სხდომამ მოისმინა ლეგიონის სკოლის პოლიტ-ხელ ამხ. ლორთქიფანიძის და 1-ლი ათასეულის პოლიტხელ ამხ. თაბუკაშვილის მოხსენებები ივლისის თვის განმავლობაში ლეგ-სკოლაში და ათასეულში ჩატარებულ მუშაობის შესახებ, რომელშიდაც ამხ. მომხსენებლებმა აღნიშნეს თუ რა და რა ბირთვები და წრეები არსებობენ თვითეულ მათგანში, როგორ მიმდინარეობდა მათში მუშაობა ან რა უშლიდა ხელს მუშაობის არა ნორმალურად მსვლელობას, თუ ასეთებს ჰქონდა ადგილი. მოხსენების ამოწურვის და ყოველ მხრივად გაშუქების შემდეგ სხდომის მიერ დადგენილ იქნა სკოლის გარეშე მუშაობა, როგორც ლეგიონის სკოლაში, ისე პირველ ათასეულში ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. მომავალში მთავარი და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ბირთვების მუშაობაში ფართო წითელ არმიელთა მასის ჩათრევას და მასში აღმზრდელობითი ხასიათის საკითხების გაშუქებას.

მესამე საკითხში განხილულ იქნა აგვისტოს თვის სკოლის გარეშე მუშაობის თვიური გეგმა, რის შემდეგ დადგენილ იქნა დაევალოს ლეგსკოლის და 1-ლი ათასეულის პოლიტ-ხელებს სასწრაფოდ მოიწვიონ პოლიტხელთა, ლექტორთა და ბირთვების ხელმძღვანელთა თათბირი, სადაც გარჩეული იქნება აღნიშნული გეგმა და მიეცეს თვითეულ მათგანს პრაქტიკული მითითებანი გეგმაში აღნიშნულ თემების ცხოვრებაში გასატარებლად.

პარტკორი ნ. ახათიანი.

## საჭიროა ხმამაღალი წაკითხვა.

„წითელი არმიის და ფლოტის ბაღში" წასულ კვირას ნაჩვენები იქნა სურათი „ტარიელ მკლავაძე." 30 ივლისს ნაჩვენები იქნა სურათი „სურამის ციხე". ჩვენს ტერ-არმიელებში არიან წერა-კითხვის უცოდინარი და მცირე მცოდნეც. ეს ამხანაგები წარწერებს ეკრანზე ვერ კითხულობენ და ამიტომ სურათის შინაარსს ვერ ხვდებიან. ამიტომ საჭიროა შემდეგისთვის ხმა-მაღლა წავიკითხოთ წითელ არმიელებს წარწერები და გავაგებინოთ მათ სურათის შინაარსი. წამკითხველები ხომ ბევრი გვყავს.

სამხკორი წ. არმ. ო—ვი.

# ბანაკის ცხოვრება და მუშაობა.

## ბრძანებას ასრულება უნდა.

1 ლ. ლეგიონი.

1-ლ ლეგიონში გამოიცა ბრძანება თმების გადაღების შესახებ, უმთავრესად ბრძანება ეხებოდა ასეულის ჯგუფის ხელმძღვანელებს, მეკუჭნავეებს და გადამწერებს.

ბევრ მათგანმა ერთი კვირაზე მეტია, რაც გადაიკრიჭეს თმები, დანარჩენი კი არც ფიქრობს ბრძანების ასრულებას.

მესაკრავე გუნდის მთელ შემადგენლობას თმები თვალებამდის სწვდებათ. რაშია საქმე. ბრძანება ყველას ეხება და შესრულებას მოითხოვს უცვლელად.

სამხკორი მეჯუდა.

## ლექცია „მკითხველის შესწავლაზე" ჩვენთან.

ჩვენი სკოლის გარეშე მუშაკებ—ბიბლიოთეკარების მეცადინეობა მიმდინარეობს ასეთი წესით, რასაც თეორიულად გავდივართ, იმავე საგანს პრაქტიკულად ვითვისებთ. უკანასკნელი თემა ამხ. ბარბარინსკის ლექციის იყო „მკითხველის შესწავლა". თავის ლექციაში ამხ. ბარბარინსკიმ გაგვაცნო, თუ როგორ უნდა გავეცნოთ მკითხველს (წითელი არმიელი) და რა შინაარსის წიგნები უნდა მივაწოდოთ მათ წასაკითხავად.

ლექციის შემდეგ პრაქტიკულ სამუშევრად წავედით სხვა და სხვა ნაწილებში მკითხველების გასაცნობათ. ამ მიზნისთვის შევადგინეთ ანკეტები, სადაც ჩაწერილია სხვა და სხვა კითხვები. ყოველ კითხვას სათანადოთ უნდა უპასუხოს წ. არმიელმა.

ნაციონალური ჯგუფი წავიდა მე 6 ლეგიონში.

მივედით რა ლეგიონში, ბიბგამგეს ამხ. ბარხუდაროვას აუხსენით ჩვენი მისვლის მიზეზი, რომელმაც დიდი დახმარება გაგვიწია დავალებულ საქმის შესრულებაში. გამოგვიყო წითელ არმიელები, რომელთაც შევამსებიეთ ანკეტები. შემდეგ ჩავატარეთ პატარა საუბარი. წაუკითხეთ წიგნი „ფაქტიური მასალები ბატონყმობის ცხოვრებიდან", რამაც წითელი არმიელები ძალიან დაინტერესა.

შემდეგ ჩავატარეთ „Книгоношество", ჩამოვატარეთ წიგნები ასეულებში, რამაც კარგი შედეგი მოგვცა. 10 ახალი მკითხველი ჩაეწერა ბიბლიოთეკაში. ყოველივე ამაში დიდი დახმარება გაგვიწია ამხ. ბარხუდაროვმა, რისთვისაც ის მადლობის ღირსია. ჩვენი მუშაობა იქ დიდათ ნაყოფიერი იყო.

სამხკორი ოზანოვი.

## სამხკორ „მიუდგომელი"-ს წერილის გამო.

გაზ. „წითელ არმიელი"-ს № 174 ში მოთავსებულია სამხკორ „მიუდგომელი"-ს წერილი მეექვსე ლეგიონის „რემედასი"-ს უჯრედის მდგომარეობის შესახებ, სადაც აღნიშნულია უჯრედის ზოგიერთი ნაკლი და დაუდევრობა.

ამის გამო „რემედას"-ის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ნუცუბიძემ ადგილობრივ მოახდინა გამორკვევა. „რემედასის" უჯრედში მომუშავე პასუხისმგებელ ერთ ამხანაგთაგანმა გულწრფელად აღიარა გაზეთში აღნიშნულ დაუდევრობის სინამდვილე.

მან განაცხადა, რომ თუმცა და დივიზიის კომიტეტიდან საკმაოდ ვღებულობთ ინსტრუქციებს და განკარგულებებს, მაგრამ მათი განხორციელება და სისრულეში მოყვანა ხანდიხან გვიბრკოლდება და გვიანდება, ვინაიდან ლეგიონის ზოგიერთ წერტებიდან თავის დროზე არ ვღებულობთ სათანადო ცნობებსო.

„რემედასის" უჯრედში მომუშავე პასუხისმგებელ ამხანაგს წინადადება მიეცა რათა იქნეს ყოველგვარი ზომები მიღებული და სათანადო ყურადღება მიქცეს „რემედასის" ორგანიზაციის მუშაობის გამოცოცხლებას.

ამხ. „მიუდგომლის" წერილი მხედველობაში მისაღებია სხვა უჯრედებისათვისაც და თუ რომელიმე უჯრედში ამის მსგავსი რაიმე ხდება საჭიროა დაუყონებლივ იქნეს გამოსწორებული.

სასურველია სხვა ნაწილების სამხკორებიც სწერდენ „რემედასის" შესახებ და აღნიშნონ მისი მუშაობის დადებითი ან უარყოფითი მხარეები.

რემედასელი კოწო.

## გაგვინათეთ სასადილო.

1-ლ ლეგ. სამნეო გუნდი.

წითელ-არმიელებისათვის სამნეო გუნდში სამზარეულოსთან არის გახსნილი სასადილო. სასადილო ყოველ მხრივ კარგადაა მოწყობილი. წითელ არმიელები დიდათ კმაყოფილნი არიან სასადილოთი. გუნდში არის ერთი ნაწილი წითელ არმიელებისა, რომლებიც მუშაობენ ფურგუნებზე და ყაზარმაში ძალიან გვიან ბრუნდებიან. ამ ამხანაგებს სიბნელეში უხდებათ სადილის და ვახშმის ჭამა, რადგან სასადილოში სინათლე არ არის.

იმედია ამას ყურადღებას მიაქცევს კომენდანტი და გაგვინათებს სასადილოს.

წ. არმ. კლაპანი.

**მე-3 და მე-5 ლეგიონების სამხკორებს. მოგვაწოდეთ წერილები თქვენი ნაწილების ცხოვრებიდან.**

## ორი დღე მეოცდაერთე სკოლაში.

ჩვენ წინ დღითვე გავიგეთ, რომ 28 ივლისს დანიშნული იყო მეოცდაერთე სკოლის პირველი კომუჯრედის ბიუროს გადარჩევა.

ამას, რა თქმა უნდა, წინ წარუძღვებოდა უჯრედის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენება. ეს კი საინტერესოდ მიგვაჩდა.

მე(დავალებით) და სხვა რამოდენიმე პარტიული ამხანაგი დავესწარით ამ კრებას.

კრების დაწყებამდეც რამოდენიმეჯერ ვინახულეთ მეოცდაერთე სკოლის პირველი ასეულის ამხანაგები, რომელნიც კრების სამზადისში იყვნენ: ითვალისწინებდენ განვლილ მუშაობებს, ამ მუშაობათა უარყოფით და დადებითს მხარეებს.

იხილავდენ და წინასწარ აკრიტიკებდენ უჯრედის მუშაობის ანგარიშს, რომელიც-რამოდენიმე ცალად დაბეჭდილი უჯრედის მდივანმა ამხანაგებს დაურიგა...

მთელი დღის განმავლობაში, სხვა საქმიანობასთან ერთად აღრიცხვაზე იღებდენ პარტ. და სამხედრო დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს, ზოგიერთ პარტ-ამხანაგების შეცდომებს და სხვა.

კრება საღამოს გაიხსნა. მას ამხანაგები მომზადებულად შეხვდენ და მეტად შინაარსიანიც გამოდგა.

კრება სულ ორ საათს გაგრძელდა.

უჯრედის მდივანმა აღნიშნა: პარტ-განათლების, პარტიულთა ავტორიტეტის და პარტ-დისციპლინის მუშაობაში გაკეთებული მიღწევები, რომლის მთავარი წყაროც კარვებში უჯრედის მიერ დანიშნული პარტიული ამხანაგები და კომ-კავშირელები ყოფილან. ესენი უჯრედის დირექტივების თანახმად ებრძოდენ ყოველგვარ უარყოფით მოვლენებს: გინებას, დაუდევრობას, გაუგონრობას და სხვას.

უჯრედი პარტ და სამხედრო დისციპლინის გამტკიცებაში უფ-პოლიტშემადგენლობასთან სრული შეთანხმებით მუშაობდა და ამ მუშაობით სასურველ შედეგებსაც მივაღწიეთო.

უჯრედის მდივანმა რამოდენიმე საყურადღებო მაგალითი აღნიშნა.

ყოფილა (მანევრების დროს) გაუგონრობის, გაუფრთხილებლობის და ლანძღვა-გინების შემთხვევები, რასაც პარტიული ხაზით განკიცხვისა და გაფრთხილების სახით ვებრძოდითო.

ერთ დღეს, ერთ-ერთი თვითნება კურსანტი დაუკითხავათ ტფილისშიაც წასულა.

კურსანტმა ამისათვის შესაფერი სასჯელი მიიღო, მაგრამ უჯრედს თავის მხრივ სასტიკი განკიცხვა გამოუცხადებია იმ პარტიული კურსანტისთვის, რომელსაც ეს სცოდნია და დაუფარავს.

უჯრედს დიდი აღმზრდელობითი მუშაობა უწარმოებია; დიდი ყურადღება მიუქცევია ლენინის კარავისა და კედლის გაზეთის საქმის გაჯანსაღებისათვის და აგრეთვე პარტიული და უპარტიო ამხანაგების შესწავლისთვის.

სამხედრო სკოლებთან და სამოქალაქო ორგანიზაციებთან კავშირზე მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ მხრივ კარგი და ნაყოფიერი კავშირი ჰქონიათ სომხების სკოლისა და ქართული სკოლის პირველ უჯრედებთან.

ადერბეჯანის სკოლის უჯრედთან კავშირი ნამეტნად სუსტი ყოფილა.

აგრეთვე ტფილისის დეპოელ ამხანაგებთან „გაერთიანებულ ჰამქრის" (სბორნი ცეხის) უჯრედთან კავშირი ბანაკად წამოსვლის შემდეგ მეტად შესუსტებულა.

კრებამ უჯრედის მუშაობა სავსებით დამაკმაყოფილებლად სცნო და გადარჩევის შემდეგ მას უსურვა, როგორც უპარტიო ამხანაგების, აგრეთვე პარტიულების კიდევ მეტ აქტივობაში ჩაბმა.

ამავე კრებამ დაადგინა: 1. გადახედული იქმნეს ყველა წარსული „ბიუროსადმი კრების მიერ გამოცხადებული სურვილები" და კიდევ უფრო გაძლიერებული იქნეს პარტ-აღმშენებლობა. 2. მხურვალე მონაწილეობა მივიღოთ კრასკომების „გამოსაშვებ საღამო"-ში. 3. გამოშვებულ იქმნეს ორი (ასეულის) კედლის გაზეთი: ა. საბანაკო პერიოდის მუშაობის შედეგებზე და „გამოსაშვებ კამპანიაზე". ბ. ახალი სამოსწავლო წლისა და ახალ კურსანტების შეხვედრაზე.

ასეთი დაუღალავი და გულწრფელი მუშაობა, როგორიც ამ ორ დღეს ჩვენ მეოცდაერთე სკოლაში დავინახეთ—ამხანაგებში იწვევს გამხნევებას და საქმისადმი სიყვარულს.

სამხკორი ჩვენი.

# პარტიული ცხოვრება.

## საჭიროა პარტ-სკოლის პროგრამა

მე-6 ტერ-ლეგიონი.

აღნიშნულ ლეგიონში პარტ-განათლების თავისი სიმაღლეზე დაყენების მიზნით, მთელი ლეგიონის მაშტაბით, დაარსებულ იქნა პარტიული-სკოლები სხვა და სხვა ნაციონალურ ენებზე, როგორიც არის: ქართული, რუსული და სომხური. თვითეული ეროვნების პარტ-სკოლას დანიშნული ჰყავს თავისი ხელმძღვანელი, რომელიც ვალდებულია კვირაში ორჯერ თითო საათი ამეცადინოს პარტიული ამხანაგები. მხოლოდ მეცადინეობის დამაბრკოლებელ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ არა გვაქვს სამეცადინო პროგრამა, რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ამ საკითხზე მივმართე ლეგიონის ბიურო-კოლექტივის მდივანს, რომლიდანაც შემდეგი პასუხი მივიღე: „ძველი პროგრამა პარტ-სკოლისა უარყოფილია და პოლიტ-განყოფილებიდან ველით ახალი პროგრამის გადმოგზავნას“.

საქმე დაყოვნებას არ ითმენს, მით უმეტეს ტერ-ლეგიონის ცხოვრების სინამდვილეში. ჩვენთვის თითო საათი ძალიან ძვირად ფასობს. იმედია ჩვენი დივიზიის პოლიტ-განყოფილება მიიღებს ზემო ნათქვამს მხედველობაში და რაც შეიძლება ადრე მოგვაწვდის პარტიული სკოლის სამეცადინო პროგრამას და მასალებს.

პარტკორი ა—ნი.

## ჩვენი ასეულის ახ. ლ. კ. კ. ჯგუფის საქმიანობა.

1-ლ ლეგიონის სამნეო ასეული.

1-ლ აგვისტოს შესდგა 1-ლ. ლეგიონის სამნეო გუნდის ახალგაზრდა კომუნისტური კავშირის ჯგუფის ღია კრება, რომელზედაც დაესწრო პარტამხანაგების გარდა მრავალი უპარტიო ამხანაგებიც.

დღის წესრიგში იყო დასმული შემდეგი საკითხები: 1. ახ. ლ. კ. კ. მე-4 კონფერენციის შესახებ, 2. მოხსენება კავშირში მიღების წესის შესახებ და მიმდინარე კითხვები, პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამავე ჯგუფის წევრმა, რომელმაც ვრცლათ გააცნო კრებას კონფერენციის საქმიანობა, მისი მიღწევები და მისი გეგმები მომავალ მუშაობისათვის. შემდეგ ერთ ერთი ამხანაგის მიერ გაშუქებულ იქნა ახ. ლ. კ. კ. მიღების წესი და სხვა. მიმდინარე საკითხებში კრებამ იქონია მსჯელობა ლენკუთხეში მეცადინეობის წარმოების წესის შესახებ. დასასრულ კომკავშირის კრება adგენს, რომ ყველა წევრისათვის სავალდებულო გახდეს მე-4 ახ. ლ. კ. კ. კონფერენციის მიღწევების დეტალურათ შესწავლა და მისი დადგენილებების ცხოვრებაში გატარება.

სამხკორი მეჯუდა.

## სკოლის გარეშე მუშაკების კომუჯრედში.

სკოლის გარეშე მუშაკებს დაარსებული აქვთ კომუჯრედი. კრებები იმართება სისტემატიურად.

მოხსენებები სხვა და სხვა თემაზე კეთდება მორიგეობით ამხანაგების მიერ. 30 ივლისს შესდგა უჯრედის მორიგი კრება. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები:

1. კოოპერაციის შესახებ და 2. მიმდინარე საკითხები. კოოპერაციის მნიშვნელობაზე მოხსენება გააკეთა რუსულ ენაზე ამხანაგ პრატაპოპოვმა, რომელმაც ვრცლად გააშუქა კოოპერატივის მნიშვნელობა მუშათა კლასისათვის. აღნიშნა აგრეთვე კოოპერაციის ზრდა საბჭოთა რესპუბლიკებში და მისი ნაკლიც, რომელიც აქვს ჩვენს კოოპერატივებს, რაიც გამოიხატება იმაში, რომ ზოგიერთი საქონელი კერძო ვაჭართან უფრო ნაკლები ღირს, ვიდრე კოოპერატივში.

მოხსენების ირგვლივ იყო შეკითხვები, რასაც დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა მომხსენებელმა, მიმდინარე საკითხებში გარჩეული იქნა სხვა და სხვა საჭირ-ბოროტო საკითხები ჩვენი ცხოვრებიდან. სხვათა შორის წამოჭრილი იქმნა საკითხი გამოსამშვიდობელ საღამოს მოწყობის შესახებ, ვინაიდან ჩვენი კურსები 15 აგვისტოს მეცადინეობას ათავებს. თუ მოვახერხეთ განზრახული გვაქვს საღამოს მოწყობა.

სამხკორი ოგანოვი.

## 1-ელ ლეგიონის მე-5 ასეულის კომუჯრედში.

2 აგვისტოს, შესდგა მე-5 ასეულის კომუჯრედის გაერთიანებული ღია კრება, რომელსაც დაესწრენ კომკავშირის, პარტ. წევრები და უპარტიო ამხანაგებიც. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. ოქმის დამტკიცება, 2. მოხსენება მე-2 სესიის დადგენილებების შესახებ, 3. განცხადებების განხილვა და 4. მიმდინარე საკითხები.

წასულ კრების ოქმი იქნა დამტკიცებული. მეორე მუშაობის დადგენილებების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ლომიამ; თანამომხსენებლად გამოვიდა ამხ. შანიძე, რომელიც გარკვევით განმარტავს მეორე სესიის დადგენილებებს და აღნიშნავს აგრეთვე, თუ რა საკითხს მიაქცია უფრო ყურადღება მეორე სესიამ. მოხსენების ირგვლივ იყო მრავალი შეკითხვები, რაზედაც სათანადო პასუხი იქნა გაცემული. მოხსენების შემდეგ იქნა გამოტანილი შესაფერისი რეზოლიუცია. შემდეგ კრებამ განიხილა უპარტიო ამხანაგების ანკეტები პარტიაში შესვლის შესახებ რაც კრების მიერ იქმნა დამტკიცებული.

სამხკორი ს. ჯაში.

---

# მეცნიერება და ტეხნიკა

**გადმოხტომა 3000 ფუტის სიმაღლიდან.**

ახალი პარაშიუტების გამოსაცდელად, რომლებიც იძლეოდენ ბრწყინვალე შედეგებს მრავალ გამოცდების დროს, ამერიკელ მფრინავებმა ბოს და ბერგიმ გადმოვარდენ ერთსა და იმავე დროს ორი სხვა და სხვა ჰაეროპლანებიდან 3.000 ფუტის სიმაღლიდან (დაახლოებით 430 საჟენი).

ბოსმა გაშალა თავისი პარაშიუტი მხოლოდ მაშინ, როცა ის დაეშვა დედამიწისაკენ 1 ათას 200 ფუტით. უფრო გულგრილი აღმოჩნდა არტურ ბერგო, რომელიც დაეშვა უკვე 1.500 ფუტით (215 საჟ.), სანამ ხელს შეახებდა პარაშიუტის გასაშლელ თოკს.

ორივე მფრინავი დეშვა სრულიად უვნებლად. აი როგორ გადმოგვცემს თავის განცდას ბერგო:

„მე ვგრძნობდი ოდნავ მერყეობას სანამ გადავეშვებოდი სივრცეში, ერთიც!.. და მე მივფრინავ ძირს. ვგრძნობდი სიცივეს. ვითვლიდი ერთი, ორი, სამი... ისეთი სისწრაფით როგორც კი შემეძლო. რამდენადაც ქვევით ვეშვებოდი, იმდენად მეტი სისწრაფით მივქროდი ქვევით.

თვრამეტი. ცხრამეტი... და ვიფიქრე დროა! და გავშალე პარაშიუტი და რამდენიმე წამში ნელა დავეშვი მიწაზე“.

ბერგოს სიტყვით თითქოს სიმაღლიდან გადმოვარდნილი კაცი ჰაერშივე კვდებოდეს არ არის მართალი. აგრეთვე ბოსიმ სთქვა რომ არ არის მართალი, რომ უკანასკნელ წუთებში ადამიანს თვალ წინ გაუვლევს მთელი ცხოვრება. „მე მაგალითად—სთქვა ბოსმა—ვიფიქრე, რომ თუ მშვიდობით დავეშვი მიწაზე მაშინვე უნდა ვისადილო“-ო.

ამ ჰაერის გმირებმა გააკეთეს ეს ნახტომი 3.000 ფუტის სიმაღლიდან იმის დასამტკიცებლად, რომ ავიაციის ბედი ბევრადაა დამოკიდებული პარაშიუტის გაუმჯობესებაზე.

---

# ნ ა რ ე ვ ი.

**ქალაქი წყალქვეშ.**

ჩრდილოეთ აფრიკის ნაპირებზე მყვინთავის მიერ სრულებით შემთხვევით მოხდა ძვირფასი არქეოლოგიური აღმოჩენა. მან იპოვა მხატვრული საგანი, რომელმაც მიიქცია ანტიკვარიების ყურადღება და სთქვა, რომ ზღვის ძირს ქალაქი არის გაშენებულიო. ფრანგ არქეოლოგ-მყვინთავებმა გამოირკვიეს ეს ადგილი და აღმოაჩინეს ქუჩების კვალი, რომელიც ამტკიცებს დიდი ქალაქის არსებობას ზღვის ძირზე. შესაძლებელია, რომ ეს ერთი ფინიკიელების ქალაქია, რომელთა დედა-ქალაქი იყო კართაგენი. კართაგენის ადგილმდებარეობაზე, რომელიც დანგრეულ იქნა რომაელების მიერ უთანხმოებაა არქეოლოგებს შორის. ინგლისის, ამერიკის და საფრანგეთის არქეოლოგები მუშაობენ ამ ამოცანაზე. ყველაზე საინტერესოა ქ. უტიკის აღმოჩენა. იქ ნაპოვნია ბალზამიანი სხეულები, რომელთა თითები დაფარულია ძვირფასი და მაღალი მხატვრული მორთულობით.

---

# პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა.** რამდენი ოთხკუთხედი ეკუთვნის ოცეულის მეთაურს?

მჭვრეტელი

**პასუხი.** ერთი ოთხკუთხედი.

**ვასო მეტრეველს.** სამსახურიდან ოჯახური მდგომარეობა არ განთავისუფლებს. მატერიალურ დახმარებისათვის მიმართეთ აღმასკომს.

**კითხვა.** შემოდგომაზე გამოწვეული წითელ არმიელები როდის იქნებიან უვადო შვებულებაში დათხოვნილი?

ნოზაძე.

**პასუხი.** 1926 წ. შემოდგომაზე.

**კითხვა.** მოკლე ვადიან შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელებს ეძლევათ თუ არა უფასო სამგზავრო ბილეთი?

**პასუხი.** ამის შესახებ სათანადო ცირკულიარი ლეგიონის შტაბის უფროსს აქვს გაგზავნილი. მიმართეთ მას.

**კითხვა.** წელიწადი და სამი თვე შესრულდა, რაც ვმსახურებ. ამ ხნის განმავლობაში არ მისარგებლნია მოკლე ვადიანი შვებულებით. მერგება შვებულება თუ არა?

წ. არ. მალრაძე.

**პასუხი.** მიმართეთ უშუალოდ თქვენს უფროსს.

**კითხვა.** როგორ მოვიქცე, ან ვის უნდა მივმართო რომ ჩემს ოჯახს მატერიალური დახმარება აღმოუჩინონ? აღმასკომმა უარი მითხრა დახმარებაზე.

ლ. ს.

**პასუხი.** პატაკი მიეცით თქვენს უფროსს და ის შუამდგომლობას გაგიწევთ აღმასკომის წინაშე.

**კითხვა** წელიწადში მეთაურები რამდენი ხნით სარგებლობენ შვებულებით და თუ შვებულება ეკუთვნით აქვს თუ არა ნაწილის უფროსს უფლება არ გაუშვას?

ლაშესპირელი.

**პასუხი.** ორი კვირა. აქვს უფლება გარემოების მიხედვით არ გაუშვას შვებულებაში.

**კითხვა.** რამდენი ხანი უნდა ვატაროთ ტოლაღები და ქამრები?

სამხკორი მთიელი.

**პასუხი** ტოლაღები ერთი წლით იძლევა და ქამრები კი ათი წლით.

---

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-6-ე ლეგიონის № 4 კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება პარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ ამავე ლეგიონის უფროს მასწავლებელს მიხეილ ალექსანდრეს-ძე ჯაფარიძეს, მცხოვრებ სამხრეთ ოსეთის, საშვალო განათლებით, ინტელიგენტი, სხვა პარტიაში, როგორც თვითონ აცხადებს, არ ყოფილა.

თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო მისი პარტიაში მიღების შესახებ. გთხოვთ აცნობოთ მე-6-ე ლეგიონის № 4 უჯრედის მდივანს 10 დღის განმავლობაში.

**მე-6-ე ლეგ. № 4 უჯრედის პასუხის მგებელი მდივანი.**

---

მე-6 ტერლეგიონის მე-10 კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ წითელ არმიელს ქუთაისის მაზრის მცხოვრებს ამხ. პარმენ გელაზონიას. თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო, ვსთხოვთ გვაცნობონ ერთი კვირის განმავლობაში.

მე-6 ტერლეგიონის მე-3 ათასეულის მე-10 კომუჯრედში.

---

შემოსულია განცხადებები მე-3 ქართულ მსრ. ლეგიონის პარტბიუროში—კომპარტიის კანდიდატად მიღების შესახებ შემდეგი ამხანაგებიდან: 1. წით. ლაშქრ. აკოპაშვილი სიმონი მიტოს ძე, ბორჩალოს მაზრის, სოფ. რატევანი, 2. ლონდამაშვილი სტეფანე გიორგის ძე, ბორჩალოს მაზრა, სოფ. რატევანი, 3. ბერიძე ალექსანდრე ბეგლარის ძე, ლეჩხუმის მაზრა, სოფ. ზუბი, 4. თავდიშვილი გიორგი ნიკოლოზის ძე, ოზურგეთის მაზრა, სოფ. პატარა ოზურგეთი, 5. რობაქიძე ვასილი ბესარიონის ძე, ქ. ქუთაისის მცხოვრები. 5. კოსტავა დავითი იაკობის ძე, ქუთაისის მაზრა ფარცხანაყანების თემი, 7. პაპავა კონდრატე ალმასხანის ძე ზუგდიდის მაზრა. სოფ. ხორგა, 8. ჯიოევი ნიკოლოზი პავლეს ძე, ცხინვალის მაზრა, სოფ. ციბთათის, 9. ხუბეჟოვი თანაოზი მიხეილის ძე, ცხინვალის მაზრა, სოფ. სამწყაროში, 10. ზარიევი ივანე იაგორის ძე, ქ. თბილისის მაზრის. თუ ვინმეს მოგეპოებათ ზემოხსენებული პირებზე უარყოფითი ცნობები გთხოვთ გვაცნობოთ მე-3 ქართ. მსროლელ ლეგ. პარტბიურო კოლექტივში ერთი კვირის განმავლობაში დღიდან გაზეთში გამოცხადებისა.

---

მე-2 ქ. მ. დ. ცალკე მესანგრე ასეულის კომ-უჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომ-პარტიის კანდიდატებს პარტიის წევრად გადარიცხვის შესახებ. თუ ვინმეს მოეპოება უარყოფითი ცნობები მათი პარტიაში მიღების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ მე-2 ქ. მ. დივ. ცალკე მესანგრე ასეულის კომ-უჯრედში ერთი კვირის განმავლობაში, დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა, სიტყვიერად ან წერილობით. უსახელო წერილები არ მიიღება.

1. კოდანოვი ლევან ილიას-ძე, მესანგრე ასეულის ზემდეგი. ქ. თბილისის მცხოვრები, კომ. პარტიის კანდიდატი 1925 წ. იანვრ. 2. ჯაფარიძე ილარიონ, წ. ა., ათის თავი, რაჭის მაზრის მცხოვრები, კომ. პარტიის კანდიდატი 1925 წ. იანვრიდან. 3. მოწონელიძე ალექსანდრე მეთოდეს-ძე, წ. ა., ათის თავი, რაჭის მაზრა, ახ. ლ. კომ-კავშირის წევრი 1921 წლიდან და კომუნისტური პარტიის კანდიდატი 1925 წლის იანვრიდან.

უჯრედის პას. მგ. მდივანი.

---

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა [illegible] ელის 1. № 3.